პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
85/72/2

585/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (372)

1972 წლის იანვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 1 (372) იანვარი 1972 წელი

შინაარსი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის თაობაზე, რომ შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები სსრ კავშირის კანონში „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ".

განკოფილება პირველი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. მ. ხოხლოვის საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. ვაშაძის საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ფ. ჩხეიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. გამცემლიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამეთვალყურეო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სამეთვალყურეო კომისიებისა

11.390

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1971 წლის მეორე ნახევრის შედეგებზე.

9. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღების მოხსენებითი ბარათის შესახებ.

განკოფილება მეორე

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. გველესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ დ. ა. კვესელავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. მ. ა. კეკელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. მ. კემულარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ნ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ შ. გ. ნახუცრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. მ. ტიტვინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ნ. ი. ფირცხალავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ავაქოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ხ. ა. ავიძბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ა. ვაჩაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ნ. ვ. ჩაჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. მ. სიორაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. პ. ტაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. გ. გულუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ხ. ინდაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

იმის თაობაზე, რომ შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები სსრ კავშირის კანონში „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. განთავისუფლდნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან მეურნეობები, რომელთა შემადგენლობაში შედიან I და II ჯგუფის ინვალიდები კოლმეურნეობის წევრთაგან, თუ ამ მეურნეობებში არ არიან ოჯახის შრომისუნარიანი წევრები. თუ ასეთ მეურნეობებში არიან შრომისუნარიანები, გადასახადის თანხა მცირდება ნახევრად.

2. დაწესდეს, რომ იმ მეურნეობებისათვის მინიჭებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათები, რომელთა შემადგენლობაში შედიან I და II ჯგუფის ომისა და შრომის ინვალიდები, იმ შემთხვევაში თუ ამ ინვალიდებს წლის განმავლობაში მიაკუთვნებენ ინვალიდობის III ჯგუფს, რჩება წლის ბოლომდე.

3. მიენიჭოთ უფლება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მთლიანად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან III ჯგუფის ომის იმ ინვალიდების მეურნეობები, რომლებიც ძირითადი მუშაკები არიან მეურნეობაში, აგრეთვე იმ მოქალაქეთა მეურნეობები, რომლებიც დროებით მატერიალურ სიძნელეებს განიცდიან, ამ მოქალაქეთა განცხადებებისა და საფინანსო ორგანოების დასკვნების მიხედვით.

4. დაწესდეს, რომ მუშებისა და მოსამსახურეების, მათ შორის პენსიაზე გადასულთა მეურნეობები, იხდიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის, მიუხედავად სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ოდენობისა, პირუტყვის რაოდენობისა და ოჯახში ძირითადი შრომისუნარიანი მუშაკის დაქირავებით მუშაობის ხანგრძლივობისა.

5. გაუქმდეს იმ კოლმეურნეთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის გაზრდა 50 პროცენტით, რომელთა ოჯახის ცალკეულმა წევრებმა საპატიო მიზეზის გარეშე ვერ გამოიმუშავეს გასულ წელს შრომადღეების დადგენილი მინიმუმი კოლმეურნეობაში.

6. დაწესდეს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდა ხდება 15 აგვისტოსა და 15 ოქტომბრისათვის თანაბარი წილებით. გადამხდელთა აღრიცხვასა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოთვლას აწარმოებენ საფინანსო ორგანოები ყოველი წლის 1 ივნისისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

7. „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“ სსრ კავშირის 1953 წლის 8 აგვისტოს კანონში (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1953 წ., № 7; 1968 წ., № 6. მუხ. 41) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-6 მუხლი ჩაითვალოს ძალადაკარგულად:

მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 8.** მუშებისა და მოსამსახურეების მეურნეობანი, მათ შორის იმათი, ვინც პენსიაზეა გადასული, რომელთაც მიწის ნაკვეთები აქვთ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდიან კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის დაწესებული განაკვეთებით, თუ ოჯახის ყველა შრომისუნარიანი წევრი, გარდა დიასახლისისა და მოსწავლეებისა, მუშაობს მიმდინარე წლის 1 ივნისისათვის დაქირავებით;

მე-9 მუხლი ჩაითვალოს ძალადაკარგულად;

მე-10 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ან ირიცხებიან სარეწაო კოოპერაციული არტელის წევრებად და მეურნეობაში პირუტყვის რაოდენობა და მიწის ნაკვეთის ოდენობა არ აღემატება ამ კანონის მე-8 მუხლში აღნიშნულ ნორმებს“;

მე-14 მუხლის მესამე ნაწილი სიტყვების: „დაქირავებით მუშაობდნენ“ შეივსოს სიტყვებით „და კოლმეურნეთა წევრები“. ხოლო მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ შემთხვევაში, თუ I და II ჯგუფის ინვალიდს წლის განმავლობაში მიაკუთვნებენ ინვალიდობის III ჯგუფს, აგრეთვე ინვალიდის სიკვდილის შემთხვევაში მეურნეობისათვის მიცემული შეღავათები რჩება წლის ბოლომდე“;

მე-16 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აღნიშნული შეღავათი მიეცემათ იმ პირობით, თუ კანონის ამ მუხლში ჩამოთვლილი მოქალაქენი არიან ოჯახის მეთაურები“;

მე-18 მუხლის მეორე ნაწილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 19 ნოემბრის ბრძანებულების (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1969 წ., № 48, მუხ. 431) რედაქციაში შეივსოს სიტყვებით: „აგრეთვე (მოქალაქეთა განცხადებების მიხედვით) III ჯგუფის ომის იმ ინვალიდთა მეურნეობანი, რომლებიც ძირითადი მუშაკები არიან მეურნეობაში, და მეურნეობანი, რომლებიც დროებით მატერიალურ სიძნელეებს განიცდიან“;

21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 21.** გადამხდელთა აღრიცხვასა და გადასახადის გამოთვლას აწარმოებენ საფინანსო ორგანოები ყოველი წლის 1 ივნისისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით. გადასახადის თანხა, რომელიც მეურნეობაზე გამოიანგარიშება, გადახდილ უნდა იქნეს 15 აგვისტოსათვის და 15 ოქტომბრისათვის თანაბარი წილებით“.

8. ეს ბრძანებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1972 წლის 1 იანვრიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წლის 21 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1 **ამხ. ი. მ. ხოხლოვის საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ივანე მიხეილის ძე **ხოხლოვი** საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 **ამხ. გ. გ. ვაშაძის საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. გივი გიორგის ძე **ვაშაძე** საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

3 **ამხ. მ. ფ. ჩხეიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. მიხეილ ფილიპეს ძე **ჩხეიძე** საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 21 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

4 ამხ. გ. პ. გამცემლიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გიორგი პავლეს ძე **გამცემლიძე** საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. კოზეენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1972 წლის 21 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

5 არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

„საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 4 აპრილის ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებაში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ; (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ., № 4, მუხლი 282);

1. პირველ და მე-5 მუხლებში სიტყვები „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ შეიცვალოს სიტყვებით „შინაგან საქმეთა“.

2. მე-3 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომისიებს ქმნიან, შესაბამისად, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და საოლქო საბჭოები მათი უფლებამოსილების ვადით“.

3. მე-9 მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „პატრონაჟის დასაწესებლად“.

4. მე-12 მუხლში სიტყვები „არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიებში“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში“.

5. მე-13 მუხლის 1 ნაწილში სიტყვები „ვადამდე“ და „არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიებიდან“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „ვადამდე პირობით“ და „შრომა-აღმზრდელობითი კოლონიებიდან“.

6. დებულების მე-14 მუხლის:

„ა“ პუნქტში სიტყვები „არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიებში“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში“;

„თ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) აღძრას შუამდგომლობა არასრულწლოვანთა პატიების შესახებ; სასამართლოში შეიტანოს წარდგინება იმის თაობაზე, რომ არ იქნეს გამოყენებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სასჯელი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლი) ან გამოყენებულ იქნეს უფრო მსუბუქი სასჯელი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლი) ან პირობითი მსჯავრი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლი) ან რომ ნასამართლობა ვადამდე იქნეს მოხსნილი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლი);

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასჯელის აღსრულების განმგებელ ორგანოსთან ერთად, სასამართლოში შეიტანოს წარდგინება სასჯელისაგან არასრულწლოვანთა ვადამდე პირობით განთავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ;

თანხმობა მისცეს შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის ადმინისტრაციას შეიტანოს წარდგინება სასამართლოში თავისუფლებაადგენილი არასრულწლოვანთათვის სასჯელის მოხდის დროს პატიმრობის პირობების შეცვლის შესახებ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლი);

თანხმობა მისცეს შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის ადმინისტრაციას შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში დატოვოს თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მსჯავრდებულნი და, აგრეთვე, მსჯავრდებულთ მისცეს კოლონიის ფარგლებს გარეთ გამყოლის გარეშე მიმოსვლის უფლება (საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-40 და 79-ე მუხლები)".

7. დებულების 26-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში არასრულწლოვანის ყოფნა შეწყდება ამ დაწესებულების წარდგინების საფუძველზე იმ რაიონის (ქალაქის) არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილებით, სადაც მდებარეობს დასახელებული დაწესებულება. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არასრულწლოვანის განთავისუფლებამდე ერთი თვით ადრე მაინც. კომისია მოვალეა ხელი შეუწყოს არასრულწლოვანის მოწყობას სამუშაოზე ან სასწავლებელში, აგრეთვე მისთვის აუცილებელ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას".

8. დებულების 27-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

9. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 27[1] მუხლი:

„27[1]. თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე შრომა-აღმზრდელობით კოლონიიდან განთავისუფლებულნი იგზავნებიან მშობლებთან ან მათ შემცველ პირებთან. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია განთავისუფლებული არასრულწლოვანის გაგზავნა მშობლებთან ან მათ შემცველ პირებთან, არასრულწლოვანთა საქმეების კომისია, განთავისუფლებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, კოლონიის ადმინისტრაციის წარდგენით, მიიღებს ზომებს არასრულწლოვანის მოსაწყობად სამუშაოზე — სპეციალობის შესაბამისად, ან სასწავლებელში, აგრეთვე მისთვის სათანადო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. არასრულწლოვანს, რომელსაც არ ჰყავს მშობლები, არასრულ-

წლოვანთა საქმეების კომისია საჭიროების შემთხვევაში გზავნის ინტერნატში ან გადასცემს სამეურვეოდ.

გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც არასრულწლოვანის გაგზავნა კოლონიიდან უწინდელ საცხოვრებელ ადგილას აღმზრდელობითი თვალსაზრისით ძიზანშეუწონელია, მას კოლონიის ადმინისტრაციის წარდგენით არასრულწლოვანთა საქმეების კომისია მოაწყობს სხვაგან. კოლონიის ადგილმდებარეობის მიხედვით.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია მოვალეა საკითხი განთავისუფლებულის სამუშაოზე მოწყობის შესახებ გადაწყვიტოს დახმარებისათვის მიმართვიდან არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა".

10. დებულების 34-ე მუხლის მე-3 ნაწილში სიტყვები „ვადამდე" და „არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიის" შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „ვადამდე პირობით" და „შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 26 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

6 საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

„საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონის („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები", 1971 წ., № 12, მუხ. 202) შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე მოქმედებენ საქართველოს სსრ ის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ სასჯელის მოხდისა და იმ პირთა მიმართ შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების წესსა და პირობებს, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება ან გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, აგრეთვე ამ სახის სასჯელის აღმასრულებელ დაწესებულებათა და ორგანოთა საქმიანობის და მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის წესს, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსს.

2. თუ საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსით გათვალისწინებული წესი ადრე დადგენილი იყო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებით, იგი გამოყენებულ უნდა იქნას საფუძვლების შესაბამისი წესის სამოქმედოდ შემოღების დღიდან, ე. ი. 1969 წლის 1 ნოემბრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ შრომის კოდექსის წორების კოდექსთან შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს სსრ მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 26 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

7 სამეთვალყურეო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დამტკიცდეს სამეთვალყურეო კომისიების დებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 26 იანვარი.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1972 წლის 26 იანვრის
ბრძანებულებით

დებულება
სამეთვალყურეო კომისიებისა

1. სამეთვალყურეო კომისიების შექმნის წესი და მათი კომპეტენცია

მუხლი 1. სამეთვალყურეო კომისიები იქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, რომლებსაც რაიონული დაყოფა არა ქვთ) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოებთან.

საჭიროების შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეიძლება შეიქმნას, მუშაობის მოცულობის გათვალისწინებით, ორი ან მეტი სამეთვალყურეო კომისია.

მუხლი 2. სამეთვალყურეო კომისიები მოქმედებენ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე (შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ან აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ან მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი), თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და არანაკლებ ოთხი წევრისა. სამეთვალყურეო კომისიის წევრთა რიცხვს, სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით, განსაზღვრავს შესაბამისი საბჭოს აღმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებელი კომიტეტი, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კომისიის შემადგენლობაში შედიან საბჭოს დეპუტატები, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები (გამოცდილი აღმზრდელების, შრომის ვეტერანების, პენსიონერების, თადარიგის ოფიცრებისა და სხვათა რიცხვიდან).

სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ შინაკან საქმეთა, პროკურატურის, სასამართლო და ადვოკატურის ორგანოთა მუშაკები.

მუხლი 3. სამეთვალყურეო კომისიას ქმნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, საოლქო საბჭოს შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტთან, თავისი რწმუნების ვადით.

სამეთვალყურეო კომისიას აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოებთან ქმნის შესაბამისი მინისტრთა საბჭო და მის შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავისი რწმუნების ვადით.

მუხლი 4. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლიათ შეიტანონ ცვლილება მათთან შექმნილ სამეთვალყურეო კომისიების შემადგენლობაში, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენენ. შესაბამისად, მშრომელთა დეპუტატების შესატყვის საბჭოს, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს.

მუხლი 5. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიები მთელ თავიანთ საქმიანობაში პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე.

მშრომელთა დეპუტატების საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოს სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე პერიოდულად იხილავს სამეთვალყურეო კომისიის მუშაობის ანგარიშს.

აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიები მთელ თავიანთ საქმიანობაში პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან, შესაბამისად, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და მინისტრთა საბჭოების წინაშე.

მუხლი 6. სამეთვალყურეო კომისიები მათი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ ყველა საკითხში. ურთიერთმოქმედებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებთან, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან და საზოგადოებრიობის საბჭოებთან, რომლებიც არსებობენ შრომა-აღმზრდელობით კოლონიებთან.

სამეთვალყურეო კომისიების საქმიანობაში მონაწილეობას იღებს საზოგადოებრიობის ფართო აქტივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიების ძირითადი ამოცანებია:

ა) განახორციელონ მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი —

შრომა-გასწორების დაწესებულებათა საქმიანობაზე, ამ დაწესებულებათა მიერ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის პირობებისა და წესების შესრულებაზე;

მსჯავრდებულთა შრომის ორგანიზაციისა და გამოყენების სისწორეზე, მათთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაზე, მათს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებაზე; მსჯავრდებულთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფასა და სამედიცინო მომსახურებაზე; მათ მიმართ წახალისებისა და დასჯის ღონისძიებათა გამოყენებაზე.

— აგრეთვე დახმარება გაუწიონ ამ დაწესებულებებს მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საქმეში;

ბ) საზოგადოებრივი კონტროლი გაუწიონ იმ ორგანოების საქმიანობას, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღკვეთილად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ, თუ როგორ იცავენ ისინი სასჯელის მოხდის წესებსა და პირობებს, აგრეთვე დაეხმარონ აღნიშნულ ორგანოებს მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საქმეში;

გ) მეთვალყურეობა გაუწიონ შრომა-გასწორების დაწესებულებათა მიერ მსჯავრდებულთა საჩივრების, განცხადებების, წერილების დროულ და სწორად განხილვას და მათს გადაგზავნას სათანადო ორგანოებისათვის;

დ) საზოგადოებრიობა ჩააბან მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საქმეში შრომა-გასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაციისა და იმ ორგანოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ;

ე) კონტროლი გაუწიონ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში აღმზრდელობით მუშაობას —

იმ პირებთან, რომლებიც იხდიან გადასახლებას, გასახლებას და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელ სამუშაოებს, პირობით მსჯავრდებულებთან — გამოსაცდელი ვადის განმავლობაში;

თავდებქვეშ გადაცემულებთან — ერთი წლის განმავლობაში;

სახალხო მეურნეობის საწარმოთა მშენებლობაზე სამუშაოდ პირობით განთავისუფლებულებთან და შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთამისჯილებთან — სავალდებულო შრომის ვადის განმავლობაში;

თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, გადასახლებიდან, გასახლებიდან და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებიდან ვადამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობით განთავისუფლებულებთან — სასჯელის მოუხდელი ნაწილის ფარგლებში განმავლობაში;

იმ პირებთან, რომლებიც ადმინისტრაციულ ზედამხედველობაში იმყოფებიან — ზედამხედველობის ვადის განმავლობაში;

ვ) მონაწილეობა მიიღონ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული პირებისადმი არსებული დებულების შესაბამისად ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესებასა და განხორციელებაში;

ზ) შრომით და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მოწყობაში საჭირო დახმარება აღმოუჩინონ იმ პირთ, რომლებიც განთავისუფლებული არიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, გადასახლებიდან, გასახლებიდან და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებიდან, თავიდან აიცილონ მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვა.

მუხლი 8. სამხრეთ ოსეთის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიები:

ა) წარმართავენ, აკონტროლებენ და კოორდინაციას უწევენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ სამეთვალყურეო კომისიების საქმიანობას, ისმენენ მათი მუშაობის ანგარიშებს, აზოგადებენ და ავრცელებენ მათი მუშაობის დადებით გამოცდილებას, მეთოდურ დახმარებას უწევენ მათ, აწყობენ კონსულტაციებს, ლექციებს, მოხსენებებს სამართლებრივ და კომისიების მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. იღებენ ზომებს საჭირო ლიტერატურით სამეთვალყურეო კომისიების უზრუნველსაყოფად;

ბ) შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს —

საზოგადოებრივი კონტროლის გასაწევად შრომა-გასწორების დაწესებულებებისა და იმ ორგანოთა საქმიანობაზე, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ;

იმ პირებთან აღმზრდელობითი მუშაობის მოსაწყობად, რომლებიც იხდიან გადასახლებას, გასახლებასა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელ სამუშაოებს, აგრეთვე პირობით მსჯავრდებულებთან, თავდებქვეშ გადაცემულებთან, სახალხო მეურნეობის საწარმოთა მშენებლობაზე სამუშაოდ პირობით განთავისუფლებულებთან, სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებულებთან. ადმინისტრაციულ ზედამხედველობაში მყოფ პირებთან;

ამასთანავე ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან აცილებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისაკენ;

გ) სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოებს განსახილველად წარუდგენენ აქტუალურ საკითხებს, რაც დაკავშირებულია შრომა-გასწორების დაწესებულებათა და იმ ორგანოთა საქმიანობის გაუმჯობესებას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ, აგრეთვე დაკავშირებულია იმ პირებთან აღმზრდელობითი მუშაობის მოწყობასა და ჩატარებასთან, რომლებიც იხდიან სასჯელს, დაედოთ პირობითი მსჯავრი, გადაცემული არიან თავდებქვეშ, პირობით განთავისუფლდნენ სახალხო მეურნეობის საწარმოთა მშენებლობაზე სამუშაოდ, ვადამდე პირობით განთავისუფლდნენ სასჯელის მოხდისაგან ან იმყოფებიან ადმინისტრაციულ ზედამხედველობაში.

მუხლი 9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ სამეთვალყურეო კომისიებს დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად უფლება აქვთ:

ა) შეამოწმონ შრომა-გასწორების დაწესებულებებისა და გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ სასამართლოს განაჩენის აღმასრულებელ ორგანოთა ადმინისტრაციის საქმიანობა ამ დებულების მე-7 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილ საკითხებზე;

ბ) მოთხოვონ აღნიშნული დაწესებულებებისა და ორგანოების ადმინისტრაციას, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების წარმოდგენა;

გ) მოაწყონ მსჯავრდებულთა მიღება, გაეცნონ მათ პირად საქმეებს, განიხილონ მათი საჩივრები და განცხადებანი;

დ) მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საკითხებზე მოისმინონ შრომა-გასწორების დაწესებულებათა და იმ ორგანოთა ადმინისტრაციის ანგარიშები, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ, აგრეთვე მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლთა ინფორმაცია შრომა-გასწორების დაწესებულებებისათვის საშეფო დახმარების აღმოჩენის შესახებ და შეიტანონ წინადადებანი მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის თაობაზე;

ე) საჭიროების შემთხვევაში მოთხოვონ შინაგან საქმეთა, პროკურატურის და სასამართლო ორგანოებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს იმ პირთა დამახასიათებელი ცნობები, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოები;

ვ) შეამოწმონ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში იმ პირებთან აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, რომლებიც იხდიან გადასახლებას, გასახლებასა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელ სამუშაოებს, პირობით არიან მსჯავრდებული, გადაცემული არიან თავდებქვეშ, პირობით არიან განთავისუფლებული სახალხო მეურნეობის საწარმოთა მშენებლობაზე სამუშაოდ, ვადამდე პირობით არიან განთავისუფლებული თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლების აღკვეთის ადგილებიდან, გადასახლებიდან, გასახლებიდან და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებიდან;

ზ) მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, აგრეთვე, ზემდგომი სამეთვალყურეო კომისიების მეშვეობით შეიტანონ სამინისტროებისა და უწყებების, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოების განსახილველად წინადადებანი —

შრომა-გასწორების დაწესებულებებისა და იმ ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ;

იმ პირებთან აღმზრდელობითი მუშაობის მოწყობისა და ჩატარების შესახებ, რომლებიც იხდიან გადასახლებას, გასახლებას, თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელ სამუშაოებს, არიან პირობით მსჯავრდებულნი, თავდებქვეშ გადაცემულნი, სახალხო მეურნეობის საწარმოთა მშენებლობაზე სამუშაოდ პირობით განთავისუფლებულნი, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, გადასახლებიდან, გასახლებიდან და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებიდან ვადამდე პირობით განთავისუფლებულნი;

თ) წარდგინებით მიმართონ სასამართლოს შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილთა სასჯელისაგან ვადამდე პირობით გახთავისუფლების შესახებ, ამ პირთა სამუშაო ადგილის ადმინისტრაციასთან, აგრეთვე შინაგან სამეთვალყურეო ორგანოებთან ერთად, რომლებიც ზედამხედველობენ აღნიშნულ მსჯავრდებულთ;

ი) აღძრან შუამდგომლობა იმ მსჯავრდებულთა პატიების შესახებ, რომლებმაც სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცეს, რომ გამოსწორდნენ;

კ) სასჯელის აღსრულების განმგებელ ორგანოებთან ერთად წარდგინებით მიმართონ სასამართლოს სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54—55-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში);

ლ) სასამართლოს წინაშე აღძრან შუამდგომლობა სასჯელმოხდილ პირთათვის ნასამართლობის ვადამდე მოხსნის შესახებ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლი);

მ) სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად, წარდგინებით მიმართონ სასამართლოს საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებიდან შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებებში მსჯავრდებულთა გადაყვანის შესახებ;

ნ) თანხმობა მისცენ შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას წარდგინებით სასამართლოს მიმართოს მსჯავრდებულთა პატიმრობის პირობების შეცვლის შესახებ სხვა სახეობის რეჟიმის კოლონიაში გადაყვანით, კო-

ლონიიდან საპყრობილეში ან საპყრობილედან კოლონიაში გადაყვანილ[illegible] რთველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლი);

ო) თანხმობა მისცენ შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში მყოფი მსჯავრდებული გადაიყვანოს ჩვეულებრივ საცხოვრებელი სადგომიდან ამავე კოლონიის საკნის ტიპის სადგომში ან საკნის ტიპის სადგომიდან—ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში (საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 67-ე და 69-ე მუხლები);

პ) თანხმობა მისცენ შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას მსჯავრდებული ქალებისათვის კოლონიის გარეთ ცხოვრების ნებართვის მიცემასა და ასეთი ნებართვის გაუქმებაზე (საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-80 მუხლი);

ჟ) თანხმობა მისცენ შრომა-გასწორებია დაწესებულების ადმინისტრაციას აღძრას შუამდგომლობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე იმის თაობაზე, რომ შრომა-გასწორების დაწესებულებებიდან განთავისუფლებული პირნი ჩაწერონ იქ, სადაც ისინი მსჯავრდებამდე ცხოვრობდნენ (საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 113-ე მუხლი);

რ) მისცენ დასკვნა იმის თაობაზე, რომ საჭიროა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებზე მილიციის ორგანოების ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესება (საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 118—119-ე მუხლები);

ს) თანხმობა მისცენ შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას ნება დართოს მსჯავრდებულს კოლონიის ფარგლებს გარეთ უბადრაგოდ მიმოსვლისა (საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 79-ე მუხლი);

ტ) შეამოწმონ, თუ რამდენად სწორად უთხრეს უარი სამუშაოდ მიღებაზე იმ პირთ, რომლებიც განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, აგრეთვე პირთ, რომლებსაც მისჯილი აქვთ გადასახლება ან გასახლება, ან გათავისუფლდნენ ამ სახის სასჯელისაგან;

უ) კონტროლი გაუწიონ ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმების საქმიანობას.

II. სამეთვალყურეო კომისიების მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 10. სამეთვალყურეო კომისია მუშაობს კომისიის სხდომაზე დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

სამეთვალყურეო კომისიის სხდომებს მოიწვევს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის დროს — თავმჯდომარის მოადგილე, საჭიროების მიხედვით, ოგრამ თვეში ერთხელ მაინც. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა არანაკლებ ნახევრისა.

კომისიის სხდომაზე ყველა საკითხი გადაწყდება ხმების უბრალო უმრავლესობით. სამეთვალყურეო კომისიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

11.890

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 11. სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი [illegible]ფნის დროს — თავმჯდომარის მოადგილე, მოაწყობს და წარმართავს კომისიის ძუშაობას, უზრუნველყოფს კომისიის სხდომების რეგულარულად მოწვევას, განსაზღვრავს განსახილველი საკითხების წრეს, განსახილველად მოამზადებს ანგარიშებს კომისიის საქმიანობის შესახებ, მისცემს დავალებებს კომისიის წევრებს და შეამოწმებს ამ დადგენილებათა შესრულებას.

მიმდინარე სამუშაოს და მიღებულ გადწყვეტილებათა შესრულების კონტროლს ახორციელებს კომისიის მდივანი.

მუხლი 12. სამეთვალყურეო კომისიის წევრებს შორის მოვალეობანი განაწილდება კომისიის სხდომაზე. ამასთან მის ცალკეულ წევრებს შეიძლება მიუჩინონ გარკვეული უბნები (საწარმოები, ქვეგანაყოფები კოლონიაში, შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციები, შინაგან საქმეთა განყოფილებები, იმ პირებთან მუშაობის საკითხები, რომლებსაც დადებული აქვთ პირობითი სასჯელი, განთავისუფლებული არიან ოავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, იხდიან გადასახლებას, გასახლებას და ა. შ.).

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიები დააწესებენ მთხოვნელთა მიღების დღეებს, რის შესახებ განცხადება უნდა გამოაკრან კომისიის სამოქმედო რაიონის შრომა-გასწორების დაწესებულებებში და მშრომელთა დეპუტატების იმ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში, რომელთანაც არსებობს კომისია.

მუხლი 13. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის სხდომებზე იწვევენ —

პროკურორს, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას თავისუფლების აღკვეთის ადგილებსა და გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ სასამართლო განაჩენის აღმასრულებელ ორგანოებზე;

შრომა-გასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაციისა და იმ ორგანოების წარმომადგენლებს, განსახილველი საკითხების ხასიათის მიხედვით, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ;

შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლებს;

იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, სადაც მუშაობს თავდებქვეშ გადაცემული, სახალხო მეურნეობის საწარმოთა მშენებლობაზე სამუშაოდ პირობით გათავისუფლებული, პირობით მსჯავრდებული, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, გადასახლებიდან, გასახლებიდან და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებიდან ვადამდე პირობით განთავისუფლებული პირი;

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლებს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინის-

ტრთა საბჭოებთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიების სხდომებზე იწვევენ, შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ პროკურორებს ან მათ მოადგილეებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსს, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრებს ან მათ მოადგილეებს.

მუხლი 14. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის სხომებზე— იმ მასალების განხილვისას, რომლებიც ეხება სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, პირობით განთავისუფლების, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან კოლონია — დასახლებებში მსჯავრდებულთა გადაყვანის, პატიძრობის პირობების შეცვლის შესახებ წარდგინებების შეტანას, ან მსჯავრდებულთა სხვა მასალების განხილვისას, — სავალდებულოა შრომა-გასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაციისა და იმ ორგანოების წარმომადგენელთა დასწრება, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების **შესახებ.**

კომისიის სხდომებზე, როგორც წესი, მოიწვევენ იმ მსჯავრდებულთ, რომელთა მასალებს განიხილავს კომისია.

მუხლი 15. სამეთვალყურეო კომისია გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ზომებს იღებს —

შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით,

იმ ორგანოების მეშვეობით, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ,

იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციის მეშვეობით, სადაც მუშაობენ ის პირნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ გადასახლება, გასახლება, თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოები, ანდა არიან პირობით მსჯავრდებულნი, გადაცემული თავდებქვეშ, არიან პირობით განთავისუფლებული სახალხო მეურნეობის საწარმოთა მშენებლობაზე სამუშაოდ, ან არიან ვადამდე პირობით განთავისუფლებულნი თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, გადასახლებიდან, გასახლებიდან ან თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებიდან.

კომისიების დადგენილებები, რომლებიც მიღებულია მათი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული დაწესებულებების, ორგანოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ, აუცილებლად უნდა შესრულდეს.

აღნიშნული დაწესებულებებისა და ორგანოების, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაცია მოვალეა ორი კვირის ვადაში აცნობოს სამეთვალყურეო კომისიას თუ რა ზომებია მიღებული მისი დადგენილების შესასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 16. სამეთვალყურეო კომისიის დადგენილებანი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მშრომელთა დეპუტატების შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტში ან მინისტრთა საბჭოში, რომელთანაც არსებობს კომისია. ამ ორგანოების გადაწყვეტილებანი საბოლოოა.

მუხლი 17. სამეთვალყურეო კომისიების წევრები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე, როგორც წესი, ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. ისეთ დავალებათა შესრულების დროს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოსაგან მოცდენასთან, კომისიის წევრებს უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი მუშაობის ადგილზე და უფლება აქვთ აინაზღაურონ გაწეული ხარჯები კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 18. სამეთვალყურეო კომისიების წევრებს დაწესებული ნიმუშის მოწმობებს მისცემენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

III. სამეთვალყურეო კომისიების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა

მუხლი 19. სამეთვალყურეო კომისიების მუშაობისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტები, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 20. სამეთვალყურეო კომისიებს ტექნიკურ მომსახურებას უწევენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატები.

სამეთვალყურეო კომისიების საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

8 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1971 წლის მეორე ნახევრის შედეგებზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1971 წლის მეორე ნახევრის შედეგები, აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით და ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 5 მარტის დადგენილებით — „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, საანგარიშო პერიოდში არსებითად გაუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა.

საბჭოები თავიანთ საქმიანობაში უფრო ფართოდ იყენებენ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს (ქ. ქუთაისი, ქ. ჭიათურა, წულუკიძის, ზუგდიდის, ზესტაფონის, ყვარლის, ლანჩხუთის, გორის, თერჯოლისა და სხვა რაიონები).

პერიოდულად ეწყობა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა და მდივნების თათბირ-სემინარები, ახალგაზრდა დეპუტატთა შეკრებები.

მნიშვნელოვნად ამაღლდა სესიებისა და აღმასკომების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი. დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი ფართოდ არიან ჩაბმული სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში. გასულ წელს სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 26001 დეპუტატმა, ანუ საერთო რაოდენობის 53,4 პროცენტმა. კარგადაა ორგანიზებული სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი. დეპუტატები ფართოდ აცნობენ ამომრჩევლებს სესიის გადაწყვეტილებებს.

საბჭოების უმრავლესობამ პირველ სესიაზე განიხილა ამომრჩეველთა განაწესები და დასახა ღონისძიებანი მათს შესასრულებლად. ამ განაწესების განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

გაუმჯობესდა საბჭოების კავშირი მოსახლეობასთან. საანგარიშო პერიოდში 915 აღმასკომმა და 330 განყოფილებამ ანგარიში ჩაბარა მოსახლეობას.

გასულ წელს 1102 აღმასკომიდან სესიებს ანგარიში ჩაბარა 1086 აღმასკომმა, ანუ 98,6 პროცენტმა. არჩევნების შემდეგ ამომრჩეველების წინაშე ანგარიშით გამოვიდა 45876 დეპუტატი, ანუ მათი საერთო რიცხვის 94,0 პროცენტი.

საგრძნობლად გაუმჯობესეს მუშაობა მუდმივმა კომისიებმა. მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით მათთვის სისტემატურად ეწყობა სპეციალური თათბირები, სემინარები, შეხვედრები. ახლა მუდმივი კომისიები უფრო ღრმად სწვდებიან ეკონომიკის, კულტურის და მშრომელთა საყოფაცხოვრებო საკითხებს, ინიციატივას იჩენენ სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველ საკითხთა მომზადებაში, გამოდიან მოხსენებებით და თანამოხსენებებით.

რესპუბლიკაში ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილია 6984 მუდმივი კომისია, მათ შორის პირველი სესიების შემდეგ დამატებით შეიქმნა 140 კომისია, რომელთა მუშაობაში ჩაბმულია 40971 დეპუტატი და 45146 აქტივისტი. არჩევნების შემდეგ, მუდმივი კომისიების მონაწილეობით, სესიებზე განსახილვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა 4242

ლად მომზადებულ იქნა 4443, ხოლო აღმასკომების სხდომებისათვის — 3396 საკითხი. 3396 მუდმივი კომისია სესიებზე გამოვიდა მოხსენებებითა და თანამოხსენებებით.

ამაღლდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის დონე. რესპუბლიკაში შექმნილია 27353 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელთა შემადგენლობაში ჩაბმულია 279016 კაცი.

სამრეწველო საწარმოებთან, მშენებლობებთან, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სახლმმართველობებთან, სოფლებსა და დაბებში შექმნილია დეპუტატთა 1053 ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანებულია 9105 დეპუტატი.

ამასთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში კვლავ აღინიშნება რიგი ნაკლოვანება.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოციალისტური კანონიერების გატარების, მათ ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების, შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვისა და სხვა საკითხებს.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადის დარღვევას. გასულ წელს რესპუბლიკის 1102 აღმასკომიდან სესიების მოწვევის ვადა დაარღვია 11 აღმასკომმა (აფხაზეთის ასსრ, ბოლნისის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ონის, საჩხერის, წალენჯიხის რაიონები და სხვ.).

რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების 3011 დეპუტატს, ანუ დეპუტატთა 6 პროცენტს, ანგარიში არ ჩაუბარებია ამომრჩევლებისათვის (ჩოხატაურის რაიონში — 427 დეპუტატს, თეთრიწყაროს — 156, ყაზბეგის — 110, წალენჯიხის—102, ონის—56, წყალტუბოს—45 დეპუტატს და სხვ.). 6 რაიონში დარღვეულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევის შესახებ. 10 საარჩევნო ოლქში, სადაც დეპუტატთა გასვლიდან ორ თვეზე მეტი გავიდა, არ ჩატარებულა არჩევნები (აჭარის ასსრ, ახალციხის, წალკის, მარნეულის, სიღნაღის რაიონები).

ზოგ რაიონში ადგილი აქვს სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაკების ხშირ ცვლას. ასე მაგალითად, არჩევნების შემდეგ შეიცვალა: 36 აღმასკომის თავმჯდომარე, 31 თავმჯდომარის მოადგილე, 34 მდივანი (აფხაზეთის ასსრ-ში 5 სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და 8 სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი, გარდაბნის, თელავის, მაიაკოვსკის, ყვარლის, მესტიის რაიონებში 2—2 სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მახარაძის რაიონში 4 სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი და სხვ.).

ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები მუდმივი კომისიების მუშაობაში. ამბროლაურის რაიონული საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას არჩევიდან დღემდე სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის არც ერთი საკითხი არ მოუმზადებია. ასეთივე უმოქმედობას იჩენენ ასპინძის რაიონული საბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, თბილისის საქალაქო საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა და ფიზკულტურისა და სპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტის, რუსთავის საქალაქო საბჭოს კულტურის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიები.

ზოგიერთი აღმასკომი ქმნის ისეთ შტატგარეშე განყოფილებებს, რომელთა შექმნა არ არის აუცილებელი. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ რაიონებში შექმნილია კომუნალური და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მარნეულის რაიონული საბჭოს აღმასკომთან — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, წალენჯიხის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან — სოფლის მეურნეობის, ცხაკაიას საქალაქო საბჭოს აღმასკომთან საფინანსო და სხვა შტატგარეშე განყოფილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, საქალაქო და რაიონული საბჭოების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 5 მარტის დადგენილების და რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ კანონების განუხრელად შესრულებისათვის;

ბ) აღმოფხვრან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მიაღწიონ იმას, რომ საბჭოები სისტემატურად მუშაობდნენ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისა და ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების მნიშვნელოვან საკითხებზე;

გ) სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, რომელთა მომზადება-განხილვაში და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში ფართოდ ჩაებან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი;

დ) ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ დეპუტატებს თავიანთ სადეპუტატო ძოვალეობის შესრულებაში. უყურადღებოდ არ დატოვონ ამომრჩევლებისა და დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხები და მიიღონ პრაქტიკული ზომები მათი განხორციელებისათვის;

ე) სისტემატურად გააცნონ მოსახლეობას დეპუტატების საშუალებით პარტიისა და მთავრობის დადგენილებები, საბჭოების სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებები, დარაზმონ მოსახლეობა ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

ვ) მეტი დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს, შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები სრულად იყენებდნენ მათთვის მინიჭებულ უფლებას, — აკონტროლებდნენ საბჭოებისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას და აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოების ყოველდღიურ საქმიანობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში საბჭოების აღმასკომების, მათთან არსებულ ყოფილებებისა და ქვემდებარე წარმოება-დაწესებულებების მიერ ანგარიშების ჩაბარება მოსახლეობისათვის, განიხილონ მოსახლეობის მიერ საანგარიშო კრებებზე შეტანილი კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები და მიიღონ ზომები მათს განსახორციელებლად.

2. რჩევა მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს გადახედონ აღმასკომთან შექმნილი ზოგიერთი შტატგარეშე განყოფილებისა და კომისიის მიზანშეწონილობის საკითხს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კბაჰაძე.

თბილისი, 1972 წლის 26 იანვარი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

9 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღების მოხსენებითი ბარათის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებს, უწყებებს უზრუნველყონ „წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 29 აგვისტოს დადგენილების და „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების განუხრელად შესრულება:

ა) არსებითად გაუმჯობესონ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის, დასმული საკითხების დროულად გადაწყვეტისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის საქმე;

ბ) პერიოდულად შეისწავლონ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ მიზეზების გამოვლინებას, რომლებიც წარმოშობენ მოქალაქეთა საჩივრებს და იბრძოლონ მათი აღკვეთისათვის.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობამ და განყოფილებებმა გაუმჯობესონ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვის საქმე. მიიღონ ზომები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ კონტროლზე აყვანილ განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხის დროულად მიღებისათვის.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღების მოხსენებითი ბარათი „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1971 წელს შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილვის მდგომარეობისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ“ დაეგზავნოს მეზობ-
მელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკო-
მებს, სამინისტროებს, უწყებებს, საქართველოს სსრ პროკურატურას და უმაღ-
ლეს სასამართლოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1972 წლის 26 იანვარი.

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

10 ამხ. ვ. ს. გველესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, და-
ბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი და
საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განყოფილების გამგე ამხ.
ვიქტორ სევასტის ძე **გველესიანი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლე-
სი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1972 წლის 7 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

11 პროფესორ დ. ა. კვესელავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრი-
ვი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართვე-
ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის დირექტორი,
პროფესორი დავით ალექსანდრეს ძე **კვესელავა** დაჯილდოდეს **საქართველოს
სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1972 წლის 7 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

12 პროფ. მ. ა. კეკელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი მიხეილ ალექსის ძე **კეკელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 ამხ. ი. მ. კემულარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საკავშირო სახელმწიფო სპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „ენერგოქსელპროექტის“ საქართველოს განყოფილების დირექტორი ამხ. ილია მიხეილის ძე **კემულარია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

14 ამხ. ი. ნ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საფინანსო სამმართველოს უფროსი ამხ. ირაკლი ნიკოლოზის ძე **კიკნაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 7 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

15 პროფესორ შ. გ. ნახუცრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის პროფესორი შალვა გიორგის ძე **ნახუცრიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

16 ამხ. შ. მ. ტიტვინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შალვა მიხეილის ძე **ტიტვინიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

17 პროფესორ ნ. ი. ფიროცხალავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი ნოე იოსების ძე **ფიროცხალავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

18 ამხ. ა. ა. ავაკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის საავეჯო ფაბრიკა № 1-ის დირექტორი ამხ. არკადი არკადის ძე **ავაკოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 10 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

19 ამხ. ხ. ა. ავიძგას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ხარიტონ ახმატის ძე **ავიძბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 10 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

20 ამხ. დ. ა. ვაჩაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს ჯიშიანი მეცხოველეობის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ამხ. დავით ალექსის ძე ვაჩაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 10 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

21 მწერალ ნ. ვ. ჩაჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ჩაჩავა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 10 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

22 ამხ. რ. შ. სიორიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. რუბენ მიხეილის ძე **სიორიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 ამხ. ე. პ. ტაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემენ პართენის ძე **ტაკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 **ამხ. შ. ბ. გულუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით „სამტრესტის“ ზუგდიდის ღვინის ქარხნის დირექტორი ამხ. შალვა გრიგოლის ძე **გულუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 21 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

25 **ამხ. ი. ხ. ინდაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, გურჯაანის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის დირექტორი ამხ. იოსებ ხვთისოს ძე **ინდაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 21 იანვარი.

განყოფილება მესამე

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 26 იანვრის დადგენილებით სასამართლო ორგანოების წარდგინების საფუძველზე გაუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივნისის ბრძანებულება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ნიკოლოზ დიმიტრის ძე **მურღულიასათვის** საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭებას და 1967 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ამილო ამბაკოს ძე **ახობაძისათვის** საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი მსჯავრდებული არიან მძიმე დანაშაულისათვის.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 26 იანვრის დადგენილებით, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინების საფუძველზე გაუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 14 ნოემბრის ბრძანებულება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება არჩილ ივლიანეს ძე **ჭანტურიშვილისათვის** საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭებას, იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მსჯავრდებულია მძიმე დანაშაულისათვის.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

ახმეტის რაიონში—ბატნის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ქორეთი, ხიხუბანი და ისინი ადმინისტრაციულად დაექვემდებარენ დუისის სასოფლო საბჭოს, ხოლო ქისტაურის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ინგეთი იგი ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ახმეტის საქალაქო საბჭოს.

ბორჯომის რაიონში — ტბის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები დაბა, კიძოთესუბანი, მზეთამზე და ისინი ადმინისტრაციულად დაექვემდებარენ წაღვერის სადაბო საბჭოს.

დუშეთის რაიონში — ჭონქაძის სასოფლო საბჭოს სოფლები ინიანთკარი და ჯიქურაულთკარი ტერიტორიულად შეზრდის გამო გაერთიანდნენ ერთ სოფლად, რომელსაც ეწოდა სოფელი არაგვისპირი.

ზუგდიდის რაიონში — ორულუს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ცვანე და ადმინისტრაციულად დაექვემდებარა იგი ანაკლიის სასოფლო საბჭოს

თიანეთის რაიონში — ხევსურთსოფლის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი თოხოლჩა და იგი ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ღულელების სასოფლო საბჭოს.

არტნის სასოფლო საბჭოს ცენტრი გადატანილ იქნა სოფელ ქვემო არტნიდან სოფელ ზემო **არტანში.**

კასპის რაიონში — კავთისხევის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ძირიანი და ადმინისტრაციულად დაექვემდებარა კასპის საქალაქო საბჭოს.

ორჯონიკიძის რაიონში — ორჯონიკიძის სადაბო საბჭოს გამოეყო სოფელი ისლარი და ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ფარცხნალის სასოფლო **საბჭოს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგის რაიონში — სიონის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ახოტი და ადმინისტრაციულად დაექვემდებარა სნოს სასოფლო საბჭოს.

წალენჯიხის რაიონში — ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ჭალისა და მუქავის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე ახლად წარმოქმნილი დასახლებული პუნქტები მიეკუთვნენ სოფლების ჯგუფს და მათ ეწოდა: ჭალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე დასახლებულ პუნქტს — სოფელი ფოცხოეწერი, ხოლო მუქავის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე დასახლებულ პუნქტს — სოფელი ერისწყალი.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით რესპუბლიკის რაიონებში გაუქმდა შემდეგი სოფლები:

ასპინძის რაიონში — ასპინძის სადაბო საბჭოს სოფელი ერკოტა, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

ახალქალაქის რაიონში — ოკამის სასოფლო საბჭოს სოფელი აზმანა, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

ახალციხის რაიონში — საძელის სასოფლო საბჭოს სოფელი აბი, ქალაქ ახალციხესთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

ახმეტის რაიონში — ახმეტის საქალაქო საბჭოს სოფლები იფნისგორა, ხევისწყარო და ზემო ხოდაშნის სასოფლო საბჭოს სოფელი საკევრე, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

გორის რაიონში — სკრის სასოფლო საბჭოს სოფლები ზემო რიეთი, გალისხევი, შავშვების სასოფლო საბჭოს სოფელი ზეგარდა და ბოშურის სასოფლო საბჭოს სოფელი ბალოვანი, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

გურჯაანის რაიონში — ჩალაუბნის სასოფლო საბჭოს სოფელი ზედუბანი, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

დუშეთის რაიონში — ფასანაურის სადაბო საბჭოს სოფელი ქვემო ამირნი — დაბა ფასანაურთან ტერიტორიულად შეზრდის, და ლაფანაანთკარის სასოფლო საბჭოს სოფელი ახალსოფელი — ამავე საბჭოს სოფელ აბანოსხევთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

უკანაფშავის სასოფლო საბჭოს სოფლები ქუთხი და ცაბაურთა, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

ვანის რაიონში — ყუმურის სასოფლო საბჭოს სოფელი პატელესეული — სოფელ დუცხუნთან ტერიტორიულად შეზრდის, სოფელი ვერხვანი — სოფელ მაისაურთან, და სოფელი დობირო — სოფელ ყუმურთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

ზესტაფონის რაიონში — ძირულის სასოფლო საბჭოს სოფელი ზედა საწუმბო მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

თეთრი წყაროს რაიონში — თეთრი წყაროს საქალაქო საბჭოს სოფელი ვაკე, მანგლისის სადაბო საბჭოს სოფელი თხინვალი, ჯორჯიაშვილის სასოფლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს სოფელი ძველი ზირბითი და ორბეთის სასოფლო საბჭოს სოფელი მეორე შამთა, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

კასპის რაიონში — კავთისხევის სასოფლო საბჭოს სოფელი ბოტისი, ოკამის სასოფლო საბჭოს სოფლები მზვარეთი, წიფლისწყარო და ქვემო ჭალის სასოფლო საბჭოს სოფლები ქედი და სალამაანთკარი, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

ლანჩხუთის რაიონში — ნიგოითის სასოფლო საბჭოს სოფელი ტობათი, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

მახარაძის რაიონში — მახარაძის საქალაქო საბჭოს სოფლები ექადია და ანასეული — ქალაქ მახარაძესთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

ჯუმათის სასოფლო საბჭოს სოფელი აგარაკი, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

მესტიის რაიონში — ბეჩოს სასოფლო საბჭოს სოფელი გული და ლატალის სასოფლო საბჭოს სოფელი სგობულდი, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

ონის რაიონში — გომის სასოფლო საბჭოს სოფელი კვაჟა, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

საგარეჯოს რაიონში — მანავის სასოფლო საბჭოს სოფელი თარაქი და გომბორის სასოფლო საბჭოს სოფელი ზურზუტები, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

საჩხერის რაიონში — კორბოულის სასოფლო საბჭოს სოფელი საკანაფურა, ჭალის სასოფლო საბჭოს სოფლები დავაეთი, ველები და ჭალოვანის სასოფლო საბჭოს სოფლები წმანი და დედაბერა, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

ყაზბეგის რაიონში — კობის სასოფლო საბჭოს სოფლები აგათიყაუ, ძუარეაუ და თრუსოს სასოფლო საბჭოს სოფელი ზაკაგორი, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

ქარელის რაიონში — გვერძინეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ქიმაანთკარი და კეხიჯვრის სასოფლო საბჭოს სოფელი ბატეთი, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

ჩხოროწყუს რაიონში — მუხურის სასოფლო საბჭოს სოფელი მეორე თაია — სოფელ თაიასთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

წყალტუბოს რაიონში — მექვენის სასოფლო საბჭოს სოფელი წიფლარი, ოფურჩხეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ოსუნელა და რიონის სასოფლო საბჭოს სოფელი ბარიტი, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.